

საქართველოს მინისტრობის კადავია
ქათამის პარტ. ნ. გერმენიშვილის ხანდაზის
სახელმწიფო ინტერნაციულ-ევროპული კავები



ეთაისის მუზეუმის მასალები
კრებული
IX-X

აგვისტო
1998

ლინ გაგულა

ნერწონ გოგაპის პირველი მუზეუმითი რიცხვიანი სახელმძღვანი კუთაისში

ბურეუაზიულ-მონარქიული წყობილების პირობებში, ქუთაისში, და საერთოდ
საქართველოში, დაბალი ფენებიდან გამოსული ახალგაზრდობის განათლების მიღე-
ბა დიდ სირთულეებთან იყო დაკავშირებული. სწავლა-განათლებიდან მოწყვეტის
ქართველი საზოგადოებისათვის დიდი ზიანი მოჰქონდა.

„მეფის რუსეთის კოლონიალური პოლიტიკა საქართველოში სახალხო განათლების დარღმი, — წერს ნ. პაპავა, — ყველაზე უფრო ნათლად და აშკარად სწორედ მის ადგილობრივი ენებისადმი დამოკიდებულებაში მუდავნდებოდა“.¹

რუსეთის იმპერიული ხასიათი, არსებითად, არც შემდეგ შეცვლილა. პირიქით, ამ მიმართულებით მისი პოლიტიკა კიდევ უფრო აგრძესიული გახდა, ამის ცხადი დადასტურება იქნება თითქოს დროსა და სივრცეში განსხვავებული, მაგრამ შედარებისათვის საოცრად ნათელი მაგალითი საბჭოთა კავშირის „მდიდარი გამოცდილების“ საზღვარგარეთ „ექსპორტის“ სფეროდან; „დაწყებითი და სპეცსკოლებიდან, უპირატულსად კი, საშუალო და უმაღლესი სასწავლებლებიდან, უნდა მოიშორონ ის პედაგოგები, რომლებიც უველაზე აღიარებულნი არინ, მათ ადგილებზე უნდა დაინიშნოს ჩვენს მიერ გამწერებული პირები... ადგილებზე ზომები უნდა იქნას მიღებული იმისათვის, რომ წამყვანი სპეციალისტები გადააყენონ თავიანთი სამუშაოებიდან და ისინი შეცვალონ მკირე განათლებისა და კომპეტიტიურის მქონე მუშაკებით.“.

სსრ კავშირის ეს ინსტრუქცია აღმოჩნდა ომისშემდგომი პოლონეთის პრეზიდენტის ბოლესლავ ბერუტის (1947-1952 წწ.) სამუშაო კაბინეტში².

როგორც იტუვიან, კომენტარი ზედმეტია! ეს არ იყო ერთ ან ორ დღეში მომზადებული პროგრამა. ასეთი „პროგრამით“ ხელმძღვანელობდა მეფის რუსეთი შემოერთებულ ქვეყნებში.

გასაგებია, რა სირთულეები იქნებოდა სწავლა-განათლების დარგში საქართველოში, კერძოდ, ქუთაისის გუბერნიაში, რუსეთის იმპერიის ერთ-ერთ განაპირა კოლონიურ მხარეში? პირველდაწყებითი სასწავლებლის გახსნა ურთულესი საქმე იყო ამ პერიოდის ქუთაისში. ბიუროკრატი, თავიდანვე დაპროგრამებული მოხელეების მიერ თითქმის გადაულახავი კედელი იყო აღმართული ყოველი კეთილშობილური წამოწყების გზაზე. მხოლოდ საქმის ღრმა სიყვარული, შეუპოვარი ბრძოლა. საოთვო კონფიდენციალური სული და მოქნეული ჭიქუა იყო საჭირო.

ასეთ პიროვნებათა რიცხვს უნდა მივაკუთვნოთ ქუთაისის ერთ-ერთი ისტორიული უბნის — საფიჩხის 111 პირველდაწყებითი სასწავლებლის დამაარსებლის — ნეკტორ ალექსანდრეს ძე გომაძის სახელიც.

16. 3 0 3 0 3 0, სახალხო განათლება საქართველოში მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში (1864-1900 წწ.), თბ., 1963, გვ. 49.

² „სრულიად საიდუმლოდ“, გამ. „სახალხო განათლება“, 1990 წ., 29 ნოემბერი.

ნიკო ნიკოლაძე წერდა: „სიმართლეს მოკლებულია ის აზრი, რომ თითქოს ქართველი გლეხები სკოლების მოსაწყობად და შესანახად საჭირო თანხების გაღებაში სიძუნწეს იჩენდნენ... სიმართლეს მოკლებულია ისიც, რომ თითქოს მათ არ ესმოდეთ სწავლის სარგებლობა და ინდიფერენტულად ეკიდებოდნენ სასკოლო საქმეებს... თუ საკითხს უფრო ახლო გავეცნობით, ივი გავვაკვირვებს კიდევაც იმ დიდი სურვილით, რომელსაც გლეხები სკოლებში შვილების მიბარებისადმი იჩენენ... ამის დასადასტურებლად ჩვენ ვურჩევდით სხვა აზრის მქონეთ, რომ 25 აგვისტოდან 1 სექტემბრამდე გაჩერებულიყვნენ ქუთაისის სასწავლებლების კარებთან“.³

ადგილობრივი მოსახლეობის, ძირითადად კი, საფიჩხის უბნის 200-ზე მეტი სასკოლო ასაკის ბავშვები (1908 წლის მონაცემებით) არ პქონდა საშუალება პირველდაწყებითი განათლება მანც მიეღოთ, სიღარიბეში ყელამდე ჩაფლული მშობლებისათვის ქალაქის ძვირადღირებული სკოლების კარები დაკეტილი იყო.

სწორედ ამ პერიოდში დაბრუნდა მშობლიურ უბანში პედაგოგი, ქალაქის პატრიოტი, ნაკითხი და შინაგანად მოწესრიგებული კაცი, საზოგადო მოღვაწე — ნესტორ გოქაძე.

ახლოს გაეცნო თუ არა აქ შექმნილ ვითარებას, მოეთაბეირა ამ უბნის მცხოვრებლებს, მოიწვია საგანვებო კრება და იქვე შეადგინეს ასეთი შინაარსის განცხადება:

„1908 წლის ივნისს 10 დღესა ჩვენ ქვემოთ ამისა ხელის მოწერნი, მცხოვრებნი ქალაქ ქუთაისში, „ნაგორნი პოლიცეისკი უჩასტოკზე“ ადგილი საფიჩხიაზე რიცხვით — კომლი შევიკრიბეთ მოსალაპარაკებლად შესახებ დაწყებითი სასწავლებლის გახსნის აღაგზე... მივიღეთ მხედველობაში რომ „პირველი, ვცხოვრობთ რა მივარდნილ ადგილზე, ახლო-მახლო არა გვაქვს არავითარი სასწავლებელი. მეორე, რაღაც ჩვენ ვართ დარიბნი, ჩამოსახლებული ქუთაისის გუბერნიის სხვადასხვა კუთხიდან და ვცხოვრობთ სახაზინო მიწაზე და ჩვენი სიღარიბებლად მთავრობისა ჩვენი ძალით არ შეგვიძლია შენახვა სასწავლებლისა, რის გამოცორას ყმაწვილზე მეტი, ჩვენი შვილები მოკლებულია პირველდაწყებით განათლებასაც. ამიტომ ერთხმად დავადგინეთ: გავხსნათ ადგილზე საფიჩხიაზე ერთკლასიანი სასწავლებელი ქალ-ვაჟისა, ოთხის განყოფილებით, რისთვისაც უმორჩილესად ეთხოვთ მთავრობას მოგვცეს შემწეობა მასწავლებლის ჯამაგირად ხაზინიდან 78 მანეთი ყოველ წლივ და სასწავლებლის სახლის საქირავებლად დაწესდეს მოსწავლებავებზედ წლიური გადასახადი სამ მანეთამდის. ამასთანავე ავირჩიეთ მომავალი სკოლისათვის სამზრუნველოს წევრებად: 1. მღვდელი საფიჩხიის წმ. ნიკოლოზის ეკლესიის ლევი ეფრემის ძე გაჩერილაძე 2. „სტაროსტა“ იმავე ეკლესიისა აზნაური სამსონ იოთამის ძე გამურელიძე 3. კანცელარიის მოხელე გიორგი პავლეს ძე გვეტაძე. 5. ადგილობრივი მცხოვრები მასწავლებელი ნესტორ ალექსის ძე გოქაძე... [შემდეგ დოკუმენტის დედანი დაზიანებულია] უკეთუ ეს ჩვენი გულწრფელი სურვილი შესრულდება და გაიხსნება შკოლა, ვიქირაოთ მოხდენილ აღაგას სკოლისათვის სახლი ამ ფულებით, რომელიც შემოვა სწავლის ფულად მოსწავლეებისაგან, ყოველ წლივ და სხვადასხვა საჭიროებისათვის თითოეული მოსწავლიდან სამ მანეთამდის, რომლის გაწერა მოხდება იანვრიდან ყოველ წლიბით. რაზედაც ხელს ვაწერთ, აქ არის 232 ხელისმოწერა“. (სტილი დაცულია).

როგორც ყოველთვის, ამჯერადაც პირველ თხოვნას ქუთაისის გუბერნატორმა უარით უპასუხა. ვის აწუხებდა საფიჩხიის უბნის ბავშვთა განათლების საკითხი? მაშინ, როცა ისეთ ცნობილ კერძო სკოლებსაც, როგორებიც მკურნალის თუ ყაუხ-

³ ლ. ზამბახიძე, ნიკო ნიკოლაძის პედაგოგიური იდეები, თბ., 1957, გვ. 268.

ჩიშვილის „გიმნაზიები“ იყო, დახურვა ემუქრებოდა. ამიტომაც დიდი ნების-უოფა და ბრძოლა დასჭირდა ნესტორ გოქაძეს, რათა როგორმე თანხმობა მიეღო მთავრობისაგან. დაღალა გუბერნატორსა და ვანათლების ინსპექციას შორის სი-არულმა და მოგვიანებით ძლივს ელირსა ერთკლასიანი სასწავლებლის გახსნის ნებართვას. მავრამ, კაცმა რომ თქვას, მთავარი მაინც ეს „პატარა“ ნებართვა იყო: საქმის დასაწყისი ხომ ნახევარი საქმეა, შემდეგ უკვე სასწავლო პროცესის კარგად წარმართვა ყველაფერს თავის სახელს დაარქმევდა.

ასე რომ, 1908 წლის სექტემბრიდან ნ. გოქაძემ ერთკლასიანი დაწყებითი სასწავლებელი გახსნა საფიჩხის უბანში, ნაქირავებ ბინაში, ეს იყო მისი ცოლისძმის — ვლადიმერ გვეტაძის სახლის ზედა სართული. მაგრამ ამ საქმის ენთუზიანტები ოთხწლიან დაწყებით სკოლასა და საკუთარ შენობაში ამ ჯგუფების მოწყობას ითვალისწინებდნენ. ამიტომ წამოწყებულ საქმეზე ზრუნვა ნესტორ გოქაძეს, სერაბიონ ჯანგავაძესა და მიხეილ ბარდაველიძეს არ შეუწყვეტიათ.

1909 წელს უკვე ნებართვაც მიიღეს სკოლის აშენების შესახებ და წლის ბოლო-სათვის მშენებლობაც დაასრულეს. ეს იყო ერთი დიდი ზალა, 36 კვ. მ. ფართით, დერეფანი, შეშაბანდი და სხვა საჭირო სათავსოები.

ამ ოთახებში უკვე ორი კლასის მეცადინეობა იყო შესაძლებელი. მალე, ცოტა-ოდენი დანაზოგით, მეზობლებისა და მოსწავლეთა მშობლების დახმარებით, მთავ-რობისაგან შეიძინეს დაახლოებით 2 პექტარი მიწის ნაკვეთი.

ტექნიკოსმა ლ. წულეისკირმა შეადგინა ფუნდამენტური მშენებლობისათვის ტექნიკური პროექტი — ესკიზი და ხარჯთაღრიცხვა, რომელიც 2.488 მანეტს შე-ადგენდა (ფულის მაშინდელი კურსით) და დაიწყო ისევ „ჯოჯოხეთური წრე“ — ხვეწნა-მუდარა ქალაქის მმართველობასთან, გუბერნატორთან, სახალხო განათლების ინსპექტორთან.

გუბერნატორმა სახაზინო სახაზების უქმარისობა მოიმიზება და ისევ უარით გა-მოისუუმრა მთხოვნელნი. ხოლო სახალხო განათლების ინსპექტორმა ნება დართო მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ უველა ხარჯს თვითონ იკისრებდნენ. სახელმწიფო ხელფასით მხოლოდ ორ მასწავლებელს დანიშნავდნენ უკვე მათ მიერ გაწყობილ სკოლაში. მეტი დახმარების იმედი სახელმწიფოსაგან არ უნდა პქონოდათ.

ისევ ნესტორ გოქაძის პრაქტიკულმა ჭკუამ გასჭრა: თითოეულ შეძლებულ მშო-ბელს სამ-სამი მანეტი გადასახადი შეაწერა, დაითანხმა გადამხდელებიც, რად-გან სხვა გზა სკოლის მშენებლობისათვის უკვე აღარ მოიძებნებოდა... და, 1909 წლისათვის მშენებლობას შეუდგნენ. ბევრმა მშობელმა უსასყიდლოდ დაიწყო მუ-შაობა, ოღონდ გადასახადს გადარჩენოდა. მუხლჩაუხრელი შრომა გაჩაღდა. რო-ცა ასეთი ენთუზიაზმი დაინახა, მშენებარე სკოლას მცირე თანხით ქალაქის მმართვე-ლობაც დაეხმარა. დიდი გარჯის შემდევ დასრულდა სკოლის მშენებლობა.

ბევრ მოღვაწეს უხაროდა ჩვენს ქალაქში კიდევ ერთი სკოლის საფუძვლის ჩაყ-რა. ერთ-ერთმა ასეთმა პიროვნებამ, ცნობილმა პედაგოგმა და საზოგადო მოღვა-წემ — სილოვან ხუნდაძემ უსასყიდლო ფანქრები და რვეულები გადასცა სკოლას ღარიბი ბავშვებისათვის. ფერაძემ და კარნაუხოვმა თავიანთ სტამბებში სკოლას უსასყიდლოდ დაუბეჭდეს ასიოდე ცალი განცხადება ქართულ და რუსულ ენებზე, რომელიც გვაუწყებდა, რომ „ზედა საფიჩხის სამინისტრო სასწავლებელი აწარმო-ებს ორივე სქესის ბავშვთა მიღებას 25 აგვისტოდან დამლევამდის, ღარიბებს სწავლის ფული არ გადასდებათ. ორი თვის შემდეგ სასწავლებელი გადავა ახალ საკუთარ შენობაში“.

ნესტორ გოქაძის თაოსნობით აეგბული ორკლასიანი სკოლის გახსნა 1910 წლის პირველ იანვარს მოხდა. გამგე-მასწავლებლად დაინიშნა ნესტორ გოქაძე, რომე-იც მისთვის დამახასიათებელი ენერგიითა და მზრუნველობით შეუდგა სკოლის მოვ-

ლა-პატრონობას. როგორც აღინიშნა, ეს სკოლა იყო სამინისტრო სკოლა. ამ პერიოდში სკოლები ერთმანეთისაგან განსხვავდებოდნენ. ზოგი იყო კერძო, ზოგიერთი საქალაქო, საეკლესიო და განათლების სამინისტროსთან დაქვემდებარებულიც. ისინი თავიანთი სტრუქტურით ერთმანეთისაგან განსხვავდებოდნენ.

საერთოდ, დაწყებითი სასწავლებლის კურსდამთავრებულები გარკვეული, ლა-მაზი ხელით წერდნენ მშობლიურ ენაზეც და რუსულადაც. მათი აქილევსის ქუსლი მხოლოდ ე. წ. კლასიკური ენები იყო, რომელსაც არც ასწავლიდნენ. სემინარიელები ხომ ორ-სამ ენას თავისუფლად ფლობდნენ და ა. შ.

მშენებლობა ამით არ დამთავრებულა. 1911-1914 წლებში, უკვე გაფართოების მიზნით, სკოლას უნებართვოდ მიაშენეს სათავსოები: სამხრეთიდან ორი საკლასო ოთახი და ჩრდილო-აღმოსავლეთიდან კიდევ ერთი ოთახი, სამასწავლებლოდ. ასეთი სახით არსებობდა სკოლის შენობა 1939 წლამდე.

მთავრობის დაუხმარებლად, მხოლოდ საკუთარი ხარჯებით, სკოლას ძლიერ უჭირდა და არსებობა. გამგე ცდილობდა ხარჯების 2/3 სახელმწიფოს გადაეხადა, ხოლო 1/3 მოსწავლეთა მშობლებს დაეფარათ. მაგრამ განათლების ინსპექცია ყურსაც არ იბერ-ტყავდა და როცა დამთავრდა მშენებლობა, სკოლის ხელმძღვანელობამ მოიწვია განათლების ინსპექტორი და სხვა თანამდებობის პირები ქალაქის მმართველობიდან იმ განზრახვით, რომ სკოლა ექსპლოატაციაში მიეღო მთავრობას და, საერთოდ, მის ანგარიშზე გადასულიყო, ამ სავსებით სამართლიან მოთხოვნაზე სასტიკი უარი მიიღეს.

1914 წელს კვლავ განმეორდა ცდა სკოლის შენობის გაფართოებისათვის და დახმარების თხოვნითაც მიმართეს განათლების ინსპექტორს, მაგრამ იმავე წლის 7 აგვისტოს ასეთი პასუხი მიიღეს მისგან: „ვაუწყებ ზედამხედველთა საბჭოს წევრებს, რომ მანამდე, სანამ არ იქნება სათანადო წესრიგში მოყვანილი ეზო-გარემო სკოლისა, სახელდობრ, გაკეთებული არ იქნება ღობე, ამოვსებული არ იქნება ორმოები და გასწორებული არ იქნება გზა, მანამდე ჩემს მიერ არ იქნება აღძრული შუამდგომლობა ოქვენს დასახმარებლად“.

ამას ხომ დიდი ხარჯები უნდოდა? საკუთარი ძალებით, გაჭირვებითა და ტანჯვით სკოლის შენობა ძლივს ააგეს, ახლა კიდევ უნდა დაეწყოთ ეზოს მოწყობის სამუშაოები, რაც საკმაო თანხებთან იყო დაკავშირებული. ერთი ხალხური ანდაზისა არ იყოს, „თუ გული გულობსო“, და, მართლაც, გულობდა მათი გული, თორემ ისე ვერ მოხერხდებოდა სკოლის ეზოს კეთილმოწყობა, — ქვის ყორის ამოშენება, ჭიშკრის და გზის მშენებლობაც მოწამეთის ქუჩიდან სკოლამდე. ამავე დროს ააგეს საპირფარეშო, გააშენეს ხეხილი: კაკალი, თუთა და სხვ.

მიუხედავად ყველა ამ სამუშაოს ჩატარებისა, 1917 წლამდე მათვის მაინც ვერ მოიცალეს განათლების ინსპექტორმა და ქალაქის ხელმძღვანელობამ — სკოლა ვერ გადაიყვანეს მთლიანად სახელმწიფო ხარჯზე. სკოლა, მცირე დახმარებით, თვითონ ინახავდა საკუთარ თავს.

ასე ჩაეყარა საფუძველი ქუთაისის საფიჩხიის უბნის პირველდაწყებითი სასწავლებლის ე. წ. „გოქაძის სკოლის“ მშენებლობას. სკოლაში ყოველ წელიწადს აწარმოებდნენ შენობის შეკეთებას.

1919 წლიდან „ნესტორ გოქაძის სკოლას საფიჩხიის მესამე ოთხწლიანი სასწავლებელი ეწოდა.

სკოლას დიდი ეზო ჰქონდა. შენობის უკანა ეზოში საცდელი ნაკვეთი იყო მოწყობილი და მოსწავლეები მასწავლებელთა დახმარებით ყოველწლიურად ამუშავებდნენ მიწას: თესავდნენ სიმინდს და ლობიოს, შემდევ ყიდღნენ და შემოსული ფულით საზამთროდ შეშას იძნდნენ.

როგორც ზემოთ აღინიშნა, ნესტორ გოქაძემ შეძლო საფიჩხის სკოლა ჯერთკლასიან, შემდევ ორიან და ბოლოს — ოთხკლასიან დაწყებით სასწავლებლად ექცია.

მისი საბოლოო სახელი ასე ჩამოყალიბდა! „საფიჩხის მესამე ოთხწლიანი პირ-ველდაწყებითი სასწავლებელი“. სკოლისათვის მარტო შენობა, ცხადია, საკმარისი არ იქნებოდა. საჭირო იყო კარგად მომზადებული, თავდადებული და განათლებული პედაგოგიური კოლექტივი, რომლის შეკრება მაშინ არც ისე ადვილი საქმე იყო. ამ საკითხის მოგვარებას დიდ ყურადღებას უთმობდა ბატონი ნესტორ გოქაძე.

ამ სკოლის პირველი პედაგოგები იყვნენ: დავით კუპრეიშვილი, აქვსენტი და ანტონინა გიორგაძეები, თამარ წერეთელი, ფეფიკო კემულარია, სიმონ გოქაძე, აკაკი მამრიკიშვილი, ვარლამ ჭარხალაშვილი, მარია ოყრეშიძე, ილია დათიაშვილი, სერგო გვეტაძე. სკოლის დარაჯი იყო ნიკოლოზ კვიტაშვილი.

მაგრამ პედაგოგთა ეს კადრები არ იყო საკმარისი სკოლის ნორმალური მუშაობისათვის. 1914 წლის დამდევს სასწავლებლის ზედამხედველმა სიმონ ოყრეშიძემ და პლატონ ლიბრაძემ, საღვთო სჯულის მასწავლებელმა ლეონტი ბარდაველიძემ, სკოლის გამგის მითითებით, თხოვნით მიმართეს განათლების ინსპექტორს, რომ ამ-ჯერად მაინც გაეწიათ მათოვის დახმარება და დაერთოთ ნება, სახელმწიფო ხარჯზე დანიშნულიყო სიმღერისა და ხელსაქმის მასწავლებლები, რაღაც სკოლაში უკვე 170 ბავშვზე მეტი სწავლობდა. სკოლის მესვეურებმა ვერც ამაზე მიიღეს დადგითი პასუხი. თუმცა, არც გაკვირვებიათ, — თხოვნაზე უარს მიჩვეულნი იყვნენ. ამიტომ კვლავ საკუთარი ხარჯებით გადაწყვიტეს ეს პრობლემა.

1929 წლიდან გალობის გაკვეთილები არ ტარდებოდა. ესეც, მნიშვნელოვანწილად, ეკონომიკური სახსრების უქონლობასთან იყო დაკავშირებული. მაგრამ მშობელთა სურვილი იმდენად ძლიერი იყო და ამ სურვილს პედაგოგებიც ხელს უწყობდნენ და აღვივებდნენ, რომ ეს საკითხიც გადაწყდა. მათ სწამდათ, რომ საეკლესიო გალობის შესწავლა მათ შვილებში კეთილშობილური გრძნობების გაღვიძებას შეუწყობდა ხელს.

ამასთან დაკავშირებით, 1929 წლის 31 ოქტომბერს კრებაც მოიწვიეს, რომელსაც 98 მშობელი დაესწრო. კრებას თაგმჯდომარეობდა სერგო გვეტაძე, შდივნობდა დავით კუპრეიშვილი, მოხსენებით გამოვიდა სკოლის გამგე და მშობლების სურვილი დიდი ტაქტითა და მოკრძალებით გააცნო დამსწრე საზოგადოებას. ცნობილი გახდა ისიც, რომ განათლების ინსპექტორი მათ არ დაეხმარებოდათ. ამიტომ სხვა გზები უნდა გამოენახათ.

მშობლები დათანხმდნენ, რომ საკუთარი ხარჯებით მოეწვიათ გალობის ცნობილი მასწავლებელი და გადაწყვიტეს, რომ ხელფასისათვის გადაიხდიდნენ წელიწადში 1 მანეთს, ხოლო ღარიბები განთავისუფლებული იქნებოდნენ ქირისაგან.

ამ საქმის დასრულების შესახებ ნათელ წარმოდგენას გვაძლევს სახალხო განათლების ფონდში დაცული ერთი საბუთი (ქიმ. 9865, სახალხო განათლების ფონდი № 274/19). გავაცნობთ მას: „გალობის მასწავლებლისათვის უნდა გადაეხადათ 139 მანეთი და 50 კაპიკი. ნამდვილ მოსიარულე მოსწავლეთა რიცხვი 187 აღმოჩნდა, აქედან 30 სიღარიბის გამო გაათავისუფლეს. ხელფასის გადამხდელი 157 მოწაფე რჩებოდა, 7 მოწაფეს მხოლოდ 50 კაპიკი უნდა გადაეხადა, ამიტომ სულ უნდა შემოსულიყო 153 მანეთი და 5 კაპიკი; თანხა ორი თვის განმავლობაში უნდა შეგროვილიყო. მოლარედ ერთ-ერთი მოსწავლის მშობელი ლეონტი ბარდაველიძე დაინიშნა. აქტიური მშობლებიც ეხმარებოდნენ მოლარეს. მორჩენილი თანხა, 14 მანეთი, სკოლის სარგებლობაში დარჩა, რომელსაც დამხმარე საბჭოს

სალარო ინახვდა და იყენებდნენ საჭიროებისამებრ. სკოლას ჰქონდა ურთიერთ-დახმარებიც სალაროც, რომლის გამგედ დანიშნული იყო ელისაბედ გაბელაშვილი, სარევიზიო კომისიის წევრებად: მარიამ წივნაძე და თამარ წერეთელი, ხშირად, გარდა ზემოთ ჩამოთვლილი ხარჯებისა, რჩებოდა ხელფასების ანარიცხების ნაწილი, რომელსაც ზოგჯერ შემოწირულობაც დაემატებოდა რომელიმე საქველმოქმედო ორგანიზაციისაგან თუ პიროვნებისაგან, გარდა ამისა, სკოლის ნაკვეთიდანაც შემოდგომაზე გარკვეული თანხა გროვდებოდა. ასე გეგმაზომიერად ვითარდებოდა სკოლის ცხოვრება, და, თუ იგი არსებობდა, სწორედ მისი ხელმძღვანელობის დიდი ორგანიზაციორული ნიჭის მაჩვენებელი იყო.

სასწავლებლის ხელმძღვანელობას მოიჯარადრე გოგიბერიძესთან ერთად გასაოცრად ლამაზად ჰქონდა მოწყობილი სკოლის ეზოც. იმერლები ეზოსა და ჭიშკრის („ბჭისკარი“) კულტს ხომ ძველთაგანვე დიდ პატივსა სცემდნენ. ჭიშკარს თურმე სკოლის სამკაულად თვლიდნენ. განსაკუთრებული წითელი ხით აკეთებინებდნენ კარგ ხელოსნებს. ეზოს მოსწავლეების დახმარებით უვლიდნენ, დარღვეულ ღობეს ამაგრებდნენ და ნარგავებით ამკობდნენ. სკოლის კედლებს შეათეთრებდნენ, აიგანს გაასწორებდნენ და სხვ. ყველა ამ საქმეს კეთილსინდისიერად ხელმძღვანელობდა და შემდეგ კომისიის თანდასწრებით თავკაცებს აბარებდა მოიჯარადრე გოგიბერიძე.

ეს კაცი ყოფილა მეტად საქმიანი, ყურადღებიანი, მოკრძალებული, ზნე-ჩვეულებით დახვეწილი, კეთილი გულის პატრონი. ასეთი თვისებების ადამიანებს, როგორც მაგნიტი, ისე იზიდავდა სკოლის კოლექტივი, ხოლო უკეთური და უზნეო კაცისთვის სკოლაში ადგილი არ იყო.

ამის საბუთად მუზეუმის ფონდში დაცული ხელნაწერიც გამოდგებოდა. იგი ეხება ისეთ პირებს, რომლებიც არცხვენდნენ ამ სასწავლებლის კოლექტივის ღირსებას.⁴

ნესტორ გოქაძეს მოსწავლის მიღების საკუთარი მეთოდები ჰქონდა, პირველ კლასში მისაღები ბავშვების მშობლებს დაათვალიერებინებდა სკოლის ეზოსა და შენობას, გააცნობდა, რა იყო სასწრაფოდ გასაკეთებელი, შემდეგ ჰკითხავდა, თვითონ რა შეეძლო და ეს „შრომითი ბეგარა“, თუმცა კარგი ცხოვრებით არ იყო გამოწვეული, ფრიად საჭირო კი ნამდვილად იყო. ამას აკეთებდა არა მარტო სკოლის ეკონომიკის წინ წარმატებისათვის, არამედ გარკვეული პედაგოგიური მოსაზრებითაც. ამით უფრო ადვილად უახლოვდებოდა ერთმანეთს ოჯახი და სკოლა.

ერთ-ერთი საბუთი, რომელიც სკოლის არქივში ინახება, ასეთი შინაარსისაა: „1905 წელს დეკემბრის 12 დღესა მივიღე მე იოსებ გლახუას ძე აბულაძემ შენ აპეკუნის ობლის ანტონ ბუსკივაძისა და ნესტორ გოქაძისაგან ფული 5 მანეთი, რომელიც უნდა მოვახმარო მე იოსებ აბულაძემ ტანფეხითა და სარჩოთი“.⁵ ეს საბუთი ხელმოწერილია და დამოწმებულია მამასახლისის, ივანე ხუნდაძის მიერ. ასეთი რამოდენიმე ხელნაწერია დაცული ფონდში.

ღარიბი მოსწავლეებისათვის იძნებნენ ფეხსაცმელსა და ტანსაცმელს. ერთ-ერთ საბუთში 45 მოსწავლის გვარი და სახელია ჩამოთვლილი, რომელთაც ამგვარი დახმარება გაეწიათ. ასეთ ბავშვებს ზოგჯერ სწავლის ქირისაგანაც მთლიანად ათავისუფლებდნენ ან უნახვერებდნენ მას.

სკოლაში შემომსვლელი მოსწავლის მშობელი განცხადებით მიმართავდა სკოლის ხელმძღვანელობას და აღნიშნავდა, თუ რომელი ჯგუფისათვის იყო მომზადებული,

⁴ გაზ. „ახალი კვალი“, № 8, 9 1915 წ., 9 ივნისი „სახალხო მასწავლებმლო საყურადღებოდ“ და „მღვდელი ფ-ლის შესახებ“.

⁵ ქ. ი. მ. 9865. სახალხო განათლების ფონდი, № 274/7, 8.

თუ ბავშვი გამოავლენდა მე-4 კლასის განათლებას, მას მე-4 ჯგუფშივე ჩარიცხავდნენ.

მაგალითისათვის მოვიტანთ ერთ-ერთ განცხადებას, დაცულს ქუთაისის მუზეუმში.
„მესამე ოთხწლედის გამგეს
მცხოვრები სოფელ ოჯოლაში
ვლადიმერ იაშვილისაგან

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

„მე მომზადებული მყავს ჩემი და შუშანა იაშვილი მეოთხე ჯგუფისათვის, გთხოვთ გამოცადოთ და ჩარიცხოთ თქვენდამი რწმუნებული სკოლის მეოთხე ჯგუფის მოწაფედ“.⁶

პედაგოგიური სხდომის ოქმი; რომელიც ამავე ფონდშია დაცული, გვაუწყებს შემდეგს, — რომ ეს განცხადება განუხილავთ და შუშანა იაშვილი დაუშვიათ გამოცადაზე, ხოლო ოქმის მეორე მხარეზე ვკითხულობთ შემდეგს: რომ მოსწავლეს კარგად ჩაუბარებია გამოცდა და ლირსად უცვნიათ დაესვათ მე-4 ჯგუფში. ოქმს ხელს აწერენ თავმჯდომარე და წევრები.⁷

„გოქაძის სკოლაში“, როგორც მას ხალხი ეძახდა, მხოლოდ ცოდნას, სწავლის მაღალ დონეს ექცეოდა ყურადღება. ყოველგვარი ზედმეტი ბიუროკრატიული ბორკილებისაგან მოსწავლეებიც და მათი მშობლებიც თავისუფალი იყვნენ. იმ ავბედით დროში ეს არ იყო პატარა საქმე.

1914 წელს სკოლაში 2განყოფილება ფუნქციონირებდა. პირველ განყოფილებაში 33 მოსწავლე ირიცხებოდა, მეორეში — 24.

1915 წელს 38 მოსწავლე, — მეორეში — 39.

1916 წელს 43 მოსწავლე, — მეორეში — 55.

1919 წლისათვის მთლიანად სკოლაში 395 მოსწავლე ირიცხებოდა.⁸

თავდაპირველად სკოლაში ასწავლიდნენ შემდეგ საგნებს: ქართულ ენასა და ლიტერატურას, მათემატიკას, ქართულ წერას, გალობას, ხელსაქმეს, ხაზვასა და ხატვას. სკოლას ემატებოდა ჯგუფები და იზრდებოდა საგანთა რაოდენობაც. სწავლების დონეც უფრო მტკიცე და დახვეწილი ხდებოდა, მთავარი ყურადღება ექცეოდა ქართული ენის სწავლების საქმეს. ეს საკითხი ბევრი ქართული სკოლისათვის პრობლემად იყო ქცეული. განათლების ინსპექტორები სკოლებიდან პატრიოტ მასწავლებლებს დევნიდნენ. მაგალითად, ბევრჯერ იქნა დასჯილი ბრწყინვალე პედაგოგი მელიტონ კელენჯერიძე, — იგი ქუთაისის სასულიერო სემინარიაში და ქალაქის სხვა სკოლებშიც რამდენიმე საგანს ასწავლიდა, მათ შორის მათემატიკასაც.

ასევე გართულებული იყო ქართული ენისა და საქართველოს ისტორიის სწავლება კერძო სკოლებშიც, მაგალითად, მკურნალისა და ყაუხჩიშვილის კერძო გიბნაზიებში.

მშობიურ ენას დევნიდნენ არა მარტო ქუთაისში, საქართველოს სხვა კუთხეებშიც. „ნაოღალევის მაღალ პირველ-დაწყებითს სასწავლებელში ქართულ ენას სრულიად არა აქვს ადგილი და რაც შეეხება ფრანგულ-ლითონურ-ნემეცურს, მათ შესასწავლად თითო მოწაფეს 10-12 მანეთს ახდევინებენ. საცოდავს ქართულს ენას ასეთი ბედიც ვერ ღირსებია, მას სასყიდლადაც აღარ ასწავლიან მოწაფეებსო“.

⁶ ქიმ, 98655, ს. გ. 274/7.

⁷ ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი, 9865, ს. გ. ფ. 247/7.

⁸ ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი, ქი 9865, ს. გ. ფ. 274/1, 2, 3, 4, არსებობს სხვა ჩანაწერებიც.

რა ლირსების უნდა იყოს ასეთი სასწავლებელი, სადაც დედაენასაც კი არ ას-წავლიან. რა სარგებლობის მოტანა შეუძლია უდედაენო სკოლას ან მოწაფისათვის, ან მშობლებისათვის, ან ქვეყნისათვის, ეს ცხადია, ყველა გონიერი ადამიანისათ-თვის. ეს ვერ შეუგნიათ მხოლოდ ნაოღალევში, სადაც თურმე ფრანგულ-ლათი-ნურ-ნემეცურს ასწავლიან და დედაენისათვისაც-კი არამც თუ დედის, დედინაცვლის როლიც კი არ ურგუნებიათ. რით შეიძლება თავი იმართლონ ამ სკოლის მასწავ-ლებლებმა? ნუთუ ამ უკულმართ მოვლენას რაიმე გასამართლებელი საბუთი ექ-ნება“.⁹

აი, ამ დროს —გოქაძის სკოლაში“ დიდი ყურადღება ექცეოდა ქართულ ენას, ქარ-თულ ლიტერატურას, საქართველოს ისტორიას, ხალხურ ზეპირმეტყველებას.

პედაგოგებმა კარგად იცოდნენ, რომ ეს სკოლა ღარიბ ბავშვთა სკოლა იყო. აქ აღზრდილებისათვის სამეურნეო საქმიანობას სასიცოცხლო მნიშვნელობა ჰქონდა. მაგალითისათვის ორი თემის სათაურს მოვიტანთ: „შემოდგომის ბუნება“, და „ადა-მიანის შრომა შემოდგომაზე“. აღნიშნული თემების დამუშავებისათვის საჭირო იყო ბუნებაზე დაკვირვება. ამიტომ გამოყოფდნენ ხოლმე ბუნებისმეტყველთა სექციას, რომელსაც უნდა შეეკრიბა აღნიშნული თემისათვის მასალები. პარალელურად ად-ვენდნენ ბუნების კალენდარს. ამის მიხედვით კი, თვის ბოლოს დიაგრამას. მოს-წავლეები დამოუკიდებლად მუშაობდნენ, მასწავლებელი მხოლოდ დრო და დრო შეამოწმებდა ხოლმე, რამდენად კეთილსინდისიერად შეასრულეს მათ ეს სამუშაო. ცხადია, ამის გამო აღსაზრდელი ბუნებას თვალ-ყურს ადევნებდა.

პირველ ყოვლისა, მზეზე ამახვილებდნენ ყურადღებას. ახსნა-განმარტების შემდეგ სექციას დაევალა აღნიშნა მზის ამოსვლისა და ჩასვლის წერტილები. მაგ-რამ ეს ტექნიკურად მეტად რთული საქმე აღმოჩნდა, საათის უქონლობის გამო. დაბრკოლებას ისიც ქმნიდა, რომ მზის ამოსვლისას ბაშვები სკოლაში ვერ ცხად-დებოდნენ. ამიტომ ეს ცდა მეცადინეობის დაწყებისა და დამთავრების წინ გადაი-ტანეს, სადაც სექციის წევრებთან ერთად ჯგუფიც იღებდა მონაწილეობას. ამ მო-მენტებს მიჰყვებოდა პროგრამა ქართულშიც. ბავშვებს შეასწავლეს ლექსი „ამომა-ვალი მზე“, შესაფერის მოთხოვნებთან ერთად.

ახდენდნენ დაკვირვებას მწერებზე. ინიშნავდნენ დროს, როდის მცირდებოდა და იზრდებოდა მწერთა რაოდენობა და რაზე იყო ყოველივე ეს დამოკიდებული. ბავშვებს აგროვებინებდნენ მწერების კოლექციას, მიჰყავდათ ექსკურსიებზე მინდორ-ში და ქართულის მასწავლებელი, იქიდან დაბრუნებულებს, აწერინებდა შთაბეჭ-დილებებს. ასე მიმდინარეობდა სასწავლო პროცესი.

ყურადღებას აქცევდნენ ფრინველების გადაფრენას, განსაკუთრებით, მერცხ-ოების მოგზაურობას. სწავლობდნენ შესაფერის ლექსებსა და მოთხოვნებს. მაგა-ლითად: „ქეთოს მერცხალი“, „მშვიდობით“ და სხვ. მერცხლების ფრენასთან და-კავშირებით აკვირდებოდნენ ამინდის ცვალებადობას: წვიმას, ქარს, ნამსა და ღრუბ-ლიანობას, მათ წარმომშობ მიზეზებსა და მათ გავლენას მცენარეებზე.

მუშაობა მიმდინარეობდა საცდელ ნაკვეთებზეც. უვლიდნენ პურისა და სიმინ-დის ყანას, ვენახს, სხვადასხვა ბოსტნეულს. სწავლობდნენ მათი თესვის, დარგვის, დის ყანას, სხვადასხვა ბოსტნეულს. მარცვლეულის მოყვანილ მოსავალს ერ-გათოხნისა და აღების დროსა და პროცესს. მარცვლეულის მოყვანილ მოსავალს ერ-თად დაფქვავდნენ წისკილში. აქ დაფქვის წესებს შეითვისებდნენ და იმასაც სწავ-ლობდნენ, თუ რისთვის იყო საჭირო წმინდა ფქვილი და რისთვის მსხვილად დაფქ-ლი. გამოცხობის პროცესსაც კი, მასწავლებლის დარიგებით, ბავშვები სავანგებოდ სახლში აკვირდებოდნენ და ვალდებული იყვნენ, ყველაფერი ეს, მხატვრულად დამუ-შავებული, თემად ჩამოქნილი მიეტანათ სკოლაში. ასევე უნდა აღეწერათ ღვინის

⁹ გაზეთი „ახალი ივერია“, № 18.

დაყენების წესი. თემის მაღალ დონეზე შესრულებისათვის მაღალ ნიშანს დაუსვამდნენ. ასე რომ, ბავშვი სკოლის კედლებშივე ეჩვეოდა იმ აუცილებელ საქმიანობას, რომელიც მისთვის და მისი ოჯახისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობისა იყო.

გოქაძის სკოლადამთავრებულ ბავშვებს გიმნაზიაში მოსახვედრად უნდა ჩაეტარებით გამოცდები. იგი რომელიმე სხვა სასწავლებელში ტარდებოდა. ანდა, უნდა გადასულიყვნენ და ესწავლათ უფრო მაღალი რანგის რომელიმე უმაღეს სასწავლებელში.

სკოლის გამგეს ჰყავდა მრჩევლებიც, რომლებიც აწესრიგებდნენ გადასახადის საქმეს. ღარიბ მოსწავლეებს საერთოდ ათავისუფლებდნენ გადასახადისაგან.

სკოლამ თავისი არსებობა გაამართლა. ამას მოწმობს არქივში დაცული ერთ საბუთიც, სადაც გარკვევით წერია: „ნესტორ გოქაძის თაოსნობით და ზრუნვით დაარსებული საფიჩხიის ოთხელასიანი სასწავლებელი მეტად საჭირო აღმოჩნდა ამ უბნის ღარიბი ხალხისათვის, სკოლის როგორც პირველი, ისე მომდევნო თაობების მრავალი ყოფილი მოწაფე დიდი კმაყოფილებით იგონებდა მის სკოლას. ის-სენებდა იქ სწავლას, რომელიც, მათივე მტკიცებით, საფუძვლიანი იყო, ხოლო ასიციპლინა და წესრიგი სანიმუშო“.¹⁰

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, 1919 წლიდან ამ სკოლას ეწოდა მესამე ოთხწლედი. 1935 წლიდან — მე-14 არასრული საშუალო სკოლა, სადაც 7 კლასი მუშაობდა, შემდეგ გადაკეთდა სრულ საშუალო სკოლად და ეწოდა ქალაქის 22-ე საშუალო სკოლა (განათლების ქუჩა). სკოლის ახალი, მრავალსართულიანი შენობა აგებულია ძველი სკოლის ადგილას.

ნესტორ ალექსანდრეს ძე გოქაძის მოკლე ბიოგრაფიული ცნობები ასეთია: იგი დაიბადა 1869 წლის 28 ივნისს, სოფელ ქვედა სიმონეთში. ამავე სოფლის ერთკლასიანი სასწავლებლის დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო ქუთაისის სამოქალაქო სასწავლებელში. იგი ბავშვობიდანვე გამოიჩინეოდა საღი გონებითა და შრომისუნარიანობით, წესრიგითა და ამხანავების მიმართ ყურადღებიანი დამოკიდებულებით. მაგრამ პატარა ნესტორს ძალიან უჭირდა მაშინდელ სკოლაში არსებულ რეჟიმთან შეგუება, ყველაზე მეტად კი რუსიფიკაციის ატანა. ნესტორი დიდი გულისტკივილით იგონებს შემდეგ, რომ საქალაქო სასწავლებელში ქართული ენის გარდა, ყველა საგანს რუსულად ვსწავლობდით.

1891 წელს იგი ამთავრებს საქალაქო სასწავლებელს და მუშაობას იწყებს ყვირილის ორკლასიან სასწავლებელში.

პედაგოგიური მოღვაწეობის მსურველ პიროვნებას, თავდაპირველად პრაქტიკა ორკლასიან სასწავლებელში უნდა გაევლო. იქ, პატარებთან, უნდა დაეხვეწა თავისი ცოდნის დონე და მიეღო საჭირო გამოცდილება, რომელიც შემდოგ მუშაობაში მისი გზის მაჩვენებელი უნდა ყოფილიყო.

1891-1895 წლებში იგი ნიკორწმინდის ორკლასიან სასწავლებელში გადაიყვანეს გამგე პედაგოგად.

ნიკორწმინდაში ნესტორი, ახლადშექმნილ ოჯახთან ერთად, ერთ პატარა ოთახში ცხოვრობდა. არ იყო ადგილი მშობლიური ქალაქიდან მოშორებით ცხოვრება, თანაც რთულ საყოფაცხოვრებო პირობებში. ახალგაზრდა პედაგოგისათვის ძნელი იყო ახლადშექმნილი ოჯახის გაძლოლა, სკოლის ღარიბული პირობების დაძლევა და შეგუება და ამავე დროს იგი არც ადგილობრივი ხელისუფლებისაგან იყო მაინცდამაინც განებივრებული. მიუხედავად ამისა, მაინც ეხმარებოდა სოფლის მცხოვრებლებს განცხადებებისა და საჭირო საბუთების შედგენაში. ცდილობდა ცოდნის გაზიარებას გაუნათლებელი ხალხისათვის, ასწავლიდა მათ წერა-კითხვებს და სხვა. იგი არაოფი-

¹⁰ ქიმ 9865 სახალხო განათლების ფონდი № 247/17.

ციალურად „სოფლის მწერლის“ როლს ასრულებდა. აღმათ, ამის გამოც იყო, რომ რამდენიმეჯერ მოაწყვეს მასზე ღამით თავდასხმა, რომელიც ყოველგვარი გართულების გარეშე მოიგრია. მაგრამ თვითონ ფაქტი თავდასხმისა, დიდხანს აღელვებდა თურმე.

1895 წელს ნ. გოქაძემ მასწავლებლის წოდება მიიღო. არქივში დაცული ასლი ამ მოწმობისა ეროვნული სულისკვეთების ყელა ადამიანს ცუდ განწყობას შეუქმნის, რაღაც მასზე მხოლოდ რუსების ხელმოწერაა. ე. ი. ქართული სკოლის მასწავლებლის მომზადების დონე რუს მოხელეებს უნდა შეემოწმებინათ და გადაეწყვიტათ მისი ვარგისიანობა. ხელისმომწერთა შორის არიან: პლოხოტნიკოვი, ელიტოვი, ასტახოვი, კოჩერგინი, შესტაკოვი, ერმანი და ერთადერთი ქართველი ინასარიძე, ესევი, ალბათ, გარევეული მოსაზრებით. ასე „განაგებდნენ“ და ამახინჯებდნენ ქართველი ახალგაზრდების სულს. ამის შედეგს ჩვენ დღეს ვიმკით.

1897 წლისათვის ნესტორს ანა გვეტაძესთან, თავის პირველ მეუღლესთან, უკვე ჰყავდა 4 შვილი. ყველაზე უფროსი 10 წლისა იყო. უმცროსი კი 5-ის. ასეთ ვითარებაში ვარდაცვალა მეუღლე. ოჯახი დამწუხრდა.

1915 წელს ნ. გოქაძემ მეორედ დაიწერა ჯვარი. ამჯერად მისი მეუღლე იყო ვერა არსენის ასული შენგელია. ის იყო მრავალშვილიანი ოჯახის უფროსი ქალიშვილი, დამთავრებული პქონდა წმინდა ნინოს სასწავლებელი ქუთაისში. იგი უაღრესად კეთილშობილი ბუნების აღმოჩნდა და 6 შვილი აღზარდა.

ნესტორ გოქაძე რევოლუციურ საქმიანობაშიც ყოფილა ჩაბმული. ამისათვის იგი ქუთაისის ციხეშიც იჯდა. უნდა გადაესახლებინათ, მაგრამ მოუღოდნელად შეწყვება მიიღო. მას წმიდა ნინოს სასწავლებლის ინსპექტორი დოლობერიძე, დავით კლდიაშვილი, კიტა აბაშიძე და სახალხო სასწავლებლის ინსპექტორი რუდაკოვი დაეხმარნენ.

ნესტორ გოქაძე ძლიერ დაინტერესებული იყო ჩვენი საზოგადოების სოციალური შედითაც. იგი ხშირად აქვეყნებდა წერილებს გაზეთებში: „ივერია“, „კავკაზი“, „ცნობის ფურცელი“, „ახალი ცხოვრება“, „დროება“, „ახალი გზა“. მისი ფსევდონიმებია: „მასწავლებელი“, „სიმონელი“, „სოფლის მასწავლებელი“, „სტუმრები“.

1928-1930 წლებში ნესტორ გოქაძე საღამოს საათებში ხელმძღვანელობდა წერაკითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის საქმეს, „გოქაძის სკოლის“ ბაზაზე. პარალელურად კითხულობდა ლექციებს უსინათლოთა საზოგადოებაში. ხელმძღვანელობდა მოზარდთა საღამოს სკოლას. იგი ბრწყინვალე მეთოდისტიც ყოფილა.

ნესტორ გოქაძეს ზეპირად სცოდნია „ვეფხისტყაოსანი“. იგი პირადად იცნობდა ილია ჭავჭავაძეს, აკაკი წერეთელს, დავით კლდიაშვილს, იოსებ ოცხელს, დომენტი თომაშვილს, ლუარსაბ ბოცვაძეს, მეგობრობდა კიდეც ზოგიერთ მათვანთან. ერთხელ თურმე ილია ჭავჭავაძემ მას მოოქროვილი ავტოკალამიც კი აჩუქა წარწერით, რომელსაც დღესაც დიდი რუდუნებით ინახავენ მის პირად არქივში.

დღი შრომას ზოგჯერ ჯილდოც მოპყვებოდა და მისი ღვაწლი პრემიებითა და ფასიანი საჩუქრებით აღინიშნებოდა ხოლმე. 1932-1942 წლებში, მის შესახებ, კოლეგებისა თუ ყოფილი მოსწავლეების მიერ ბევრი სამაღლობელი სტატია დაიბეჭდა.

1944 წლის 19 სექტემბერს, ხანმოკლე ავადმყოფობის შემდევ იგი გარდაიცვალა. დაკრძალულია ქუთაისში, საფიჩხიის სასაფლაოზე.

ნესტორ გოქაძე გარევნობით ყოფილა გამხდარი; საშუალოზე მაღალი, პროპორციული აღნაგობის, ფიზიკურად განვითარებული, მაღალი შუბლით, პორიტონტალური წარბებით, სწორი; ცხვირით, ხასიათით იყო მშვიდი და წყნარი, გულთბილი და ლმობიერი. ყოველთვის სუფთად ჩატარდი, ლამაზად გადავარცხნილი თმით, მოვლილი კოხტა ულვაშებით.